ოქმი:**ო12.37221041**

თარიღი:**14/04/2022**

ოქმი № 8

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

2022 წელი, 13 აპრილი

ქ.ოზურგეთი

14.00-15.00 საათი

თავმჯდომარეობდა: ქეთევან ხომერიკი - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები : ქ. ვასაძე, ხ. ცერცვაძე, ვლ. ხავთასი, მ. ჩხიკვიშვილი, მ. ვაშალომიძე, გ. სირაძე, ხ. თავდიშვილი, ს. ქარცივაძე, ნ. სარჯველაძე, ნ. ნადირაშვილი, ი. თუთბერიძე, ტ. მგელაძე, დ. მდინარაძე,

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: ქ. ხომერიკი

თანამომხსენებელი: გ. ღურჯუმელიძე, ნ. გოლიაძე

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: ქ. ხომერიკი

თანამომხსენებელი: გ. ღურჯუმელიძე, ნ. გოლიაძე

3. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის განხორციელების შესახებ.

მომხსენებელი: ქ. ხომერიკი

4. კომისიაში შემოსული კორესპონდენციის განხილვის შესახებ.

მომხსენებელი: ქ. ხომერიკი

სხდომის თავმჯდომარემ ქ. ხომერიკმა მოკლედ ისაუბრა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურების დებულებებზე, აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მერიის მიერ საკრებულოში წარმოდგენილი სამართლებრივი აქტების პროექტები, საკრებულოს გადაწყვეტილებით დგას საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე, შემდეგ, სამსახურების დებულებების კომისიის წევრებისათვის გასაცნობად, სიტყვა გადასცა თანამომხსენებლებს გ. ღურჯუმელიძესა და ნ. გოლიაძეს. კომისიის წევრებმა მოისმინეს და იმსჯელეს აღნიშნულ დადგენილების პროექტებზე და მიზანშეწონილად მიიჩნიეს მათი ბიუროსა და საკრებულოს სხდომებზე წარდგენა განხილვა-დამტკიცების მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ ქ. ხომერიკმა კომისიის წევრებს გააცნო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი „ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის განხორციელების შესახებ“- კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მიიღეს გადაწყვეტილება წარედგინათ ბიუროსა და საკრებულოს სხდომებზე განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ ქ. ხომერიკმა კომისიის წევრებს გააცნო კომისიაში შემოსული საკრებულოს წევრ გ. სირაძის წერილი ქ. ოზურგეთში ზვანის უბანში საბავშვო ბაღის შენობის აგების თაობაზე, აღინიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მერია უკვე მუშაობს აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტაზე.

გადაწყვიტეს:

1. დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი სამართლებრვი აქტების პროექტები: „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“; „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“; „ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის განხორციელების შესახებ“ შეტანილ იქნას საკრებულოსა და ბიუროს სხდომებზე განსახილველად და დასამტკიცებლად.

2. კომისიაში შემოსული წერილი რეაგირებისათვის გადაეგზავნოს მუნიციპალიტეტის მერს (ა. თალაკვაძე).

ქეთევან ხომერიკი

განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი